სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 ნოემბერი, 2026 წელი

ბრძანება №01-10/117

ბსუ-ს პროფესიული **მომზადების** პროგრამაზე „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ **სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და პირველადი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ **საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების,** „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის **მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს **რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის №01-02/202 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის სერტიფიკატის და სერტიფიკატის დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 25 მარტის №01-02/71 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 24 აპრილის №01-02/78 ბრძანების,** „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო) დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №01-02/175 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის **„პირველადი გადაუდებელი დახმარება“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 11 ნოემბრის №**01-02/225 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი) მამუკა გოგელიას 2026 წლის 09 ნოემბრის №1630397 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„პირველადი გადაუდებელი დახმარება“** (საკონტაქტო - 60 საათი და არასაკონტაქტო - 30 საათი; მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური: 15 მაქსიმალური: 20), **სწავლის საფასური, პროგრამის პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა და** პირველადი **ხარჯთაღრიცხვა (**15 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფზე), წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების

ცენტრს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და პირველადი ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 11 ნოემბრის №01-10/117 ბრძანების №1 დანართი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ (საკონტაქტო (ტრენერის) - 60 საათი და არასაკონტაქტო - 30 საათი; მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური: 15 მაქსიმალური: 20) *პირველადი ხარჯთაღრიცხვა (15 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფზე)*			
1	**პროგრამის შემოსავალი**	პროცენტი	(ლარი)
1.1.	**სწავლის საფასური** 1 მსმენელზე (დღგ-ს ჩათვლით)		450.00
1.2.	**სულ შემოსავალი 15 მსმენელზე** (დღგ-ს ჩათვლით)		**6750.00**
2	**დღგ (18%)**		**1029.66**
3	სულ შემოსავალი დღგ-ს გარეშე	**100%** (გაანგარიშების ბაზა)	**5720.34**
4	**პროგრამის ხარჯები,** მათ შორის:	**60%**	**4050.00**
4.1.	**პერსონალის შრომის ანაზღაურება**		**3900.00**
4.1.1.	**ტრენერ(ებ)ი** (სულ დატვირთვა - 60 საკონტაქტო საათი - 1 საათის ღირებულება 50 ლარი)		**3 000.00**
4.1.2.	**დამხმარე პერსონალი** (**ასისტენტი** ორგანიზაციული საკითხებში, **ასისტენტი** დოკუმენტაციის და სერტიფიკატების მომზადების საკითხებში, **ასისტენტ(ებ)ი** სასწავლო პროცესის მონიტორინგის და (სულ დატვირთვა - 30 საათი - 1 საათის ღირებულება 30 ლარი)		**900.00**
4.2.	მატერიალური და საორგანიზაციო ხარჯები		**150.00**
4.2.1.	მატერიალური რესურსი (საკანცელარიო ნივთები, სერტიფიკატები და სხვა სახარჯი მასალა)		**150.00**
5	ბსუ-ს განვითარების ხარჯი (მოგება + სხვა ხარჯი)	**40%**	**2700.00**
6	**სულ (ხარჯები დღგ-ს გარეშე)**	**100%**	**6750.00**